მეორე შეხვედრა – 2:2

ლიუცერნი, 2 ოქტომბერი. გუშინ აქ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თავიანთი შვეიცარიული ტურნეს მეორე მატჩი გამართეს. ისინი შეხვდნენ ადგილობრივ „ლიუცერნს“.

მატჩის პირველი ტაიმი არაფერ სასიკეთოს არ უქადდა სტუმრებს: უკვე მე–3 წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გახსნა, ხოლო შესვენებამდე საჯარიმო დარტყმით 30 მეტრიდან მეორე გოლი გაიტანეს ურუშაძის კარში.

მეორე ტაიმში დინამოელებმა მკვეთრად გამოაკეთეს თამაში. 58–ე წუთზე დათუნაშვილმა გაქვითა ერთი ბურთი, ხოლო მატჩის მიწურულში მეტრეველმა წონასწორობა აღადგინა – 2:2.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ურუშაძე, რეხვიაშვილი, (ბ. სიჭინავა), ჭელიძე, კანთელაძე, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, ნოდია (მესხი), დათუნაშვილი.

პირველ მატჩთან შედარებით თბილისელებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს. ამჯერად მათ საქმე ჰქონდათ უფრო ძლიერ მეტოქესთან, რომელიც ბევრჯერ იხსნა... ძელმა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მინდორი წვიმის შემდეგ საკმაოდ „მძიმე“ იყო და თბილისელები მატარებლით ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ამ ქალაქში თითქმის პირდაპირ მატჩის წინ ჩამოვიდნენ.

“ლელო” 3.X.67 წ.